



№ 001364/31

14/02/2019

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის  
პრეზიდიუმის  
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივრის  
დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმი (შემდგომ – პრეზიდიუმი) შემდეგი  
შემადგენლობით:

1. ერეკლე მექვაბიშვილი – გენერალური აუდიტორი, პრეზიდიუმის სხდომის თავმჯდომარე;
2. დავით გოგიჩაიშვილი – გენერალური აუდიტორის მოადგილე;
3. ვაჟა ბრაგვაძე – ადმინისტრაციის უფროსი;
4. სოფიო დვალიშვილი – თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
5. თორნიკე შერმადინი – ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
6. გიორგი კეკელიშვილი – საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
7. ზაზა გელაშვილი – შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
8. გიორგი გაჩეჩილაძე – ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი;
9. ცოტნე ქარქაშიაძე – სახელმწიფო ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტის უფროსი;
10. ალექსანდრე გოგოლაშვილი – აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსი;
11. გიორგი კაპანაძე – ეფექტიანობის აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი;
12. ნოე ქაშიბაძე – აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
13. ზაზა შეყილაძე – სოციალური სფეროს აუდიტის დეპარტამენტის უფროსი;
14. ნატო ზაალიშვილი – იურიდიული დეპარტამენტის უფროსი.

საჩივრის ავტორი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერია.

წარმომადგენლები: დავით ბაღდავაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი (11.02.2019; მინდობილობა N37/726), ნიკოლოზ სანაძე – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი (11.02.2019, მინდობილობა N37/724).

მოწინააღმდეგე მხარე: ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტი.

**წარმომადგენელი: გიორგი მამრიკიშვილი** – ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის უფროსი.

**დავის საგანი:** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 14 იანვარს დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის N11/36 ანგარიშის ნაწილობრივ ბათილად ცნობა.

## I

### აღწერილობითი ნაწილი:

პრეზიდიუმს 2019 წლის 4 თებერვალს N37/520 საჩივრით მომართა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის თარიღი და ნომერი: 04.02.2019; N992/29) და მოითხოვა ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის მიერ 2019 წლის 14 იანვარს დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის N11/36 ანგარიშის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ:

1. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ გზების მოასფალტების სამუშაოების ელექტრონული ტენდერით შესყიდვის გამოცხადებამდე, სახელმწიფო შესყიდვის გზით შეისყიდა გზების მოასფალტების სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელთა მიხედვით, გზების მოასფალტების სამუშაოების სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 2747170.00 ლარი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სატენდერო განცხადებაში უნდა მიეთითოს შესყიდვების ობიექტის სავარაუდო ღირებულება. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ გზების მოასფალტების სამუშაოების ელექტრონულ ტენდერში (SPA170005507) ამ სამუშაოების სავარაუდო ღირებულებად მიუთითა სახელმწიფო შესყიდვის გზით შესყიდული გზების მოასფალტების სამუშაოების საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში დაფიქსირებული ფასი. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტბეტონის საფარის დაგების შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170005331) მონაწილეობდა ორი პრეტენდენტი: სს „არქეოპოლისი“ და შპს „ინდიკო“. სატენდერო კომისიამ სს „არქეოპოლისის“ განუსაზღვრა ვადა დაზუსტებული ფასების ცხრილის წარმოსადგენად. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სს „არქეოპოლისის“ მიერ დაზუსტებული ფასების ცხრილი წარმოდგენილ იქნა დადგენილი ვადის დარღვევით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით და ამავე მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, სატენდერო კომისია, ამ მუხლის მე-4 პუნქტით დაწესებულ ვადაში, მიმართავს პრეტენდენტს მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტების მოთხოვნით და განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, არა უმეტეს 3 სამუშაო დღისა. სატენდერო კომისია ვალდებულია, ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ. თუ დადგენილ ვადაში დაზუსტებული დოკუმენტაცია არ იქნება წარდგენილი, სატენდერო კომისია ახდენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სს „არქეოპოლისის“ მიერ დაზუსტებული ფასების ცხრილი წარმოდგენილი იყო დადგენილი ვადის დარღვევით და კანონმდებლობის შესაბამისად, სს „არქეოპოლისი“ დაექვემდებარა დისკვალიფიკაციას.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ გზების მოასფალტების სამუშაოების ელექტრონულ ტენდერში (SPA170005331) გაიმარჯვა შპს „ინდიკომ“ – 2720591.00 ლარით. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-10 მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით, წინადადების წარდგენისთანავე პრეტენდენტს სისტემის მეშვეობით ეძლევა საშუალება მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში. ძირითადი დროის განმავლობაში შესაძლებელია წინადადების ფასის შეცვლა კლებადობის პრინციპის მიხედვით. წინადადების ფასის ყოველი შემდგომი შემცირება უნდა მოხდეს პრეტენდენტის მიერ წინა შეთავაზებულ ფასთან მიმართებაში, არანაკლებ ბიჯით განსაზღვრული ოდენობისა, ხოლო მე-12 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, სატენდერო კომისიის მიერ პრეტენდენტები ფასდებიან წინადადების ფასის, მათ მიერ სისტემაში განთავსებული ტექნიკური და საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაციების მიხედვით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა არ განხორციელებულა საბაზროზე მნიშვნელოვნად მაღალი ფასით. გზების მოასფალტების სამუშაოების შესყიდვა განხორციელდა იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე ელექტრონული ტენდერით იყო გამოცხადებული.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მისთვის არ იყო ცნობილი რაიმე ისეთი გარემოება, რაც მისცემდა იმის საფუძველს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას ემსჯელა პრეტენდენტების მხრიდან აფიდავიტის სავარაუდო დარღვევაზე.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ სხვა ელექტრონულ ტენდერებში გამარჯვებული იყო ორივე კომპანია (შპს „ინდიკომ“ და სს „არქეოპოლისი“), თუმცა ამ ტენდერებში ერთმანეთის ქვეკონტრაქტორები არ ყოფილან და არც ამხანაგობის სახით მიუღიათ მონაწილეობა. ამ შემთხვევებში სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას საფუძველი ექნებოდა, ემსჯელა პრეტენდენტების მხრიდან აფიდავიტის შესაძლო დარღვევის საკითხთან დაკავშირებით. შესაბამისად, საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, თუ პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას. საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო, პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სჭირდება შესაბამის გარემოებაზე და ამ გარემოების დამადასტურებელ საფუძველზე მითითება და მიიჩნევა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ ჩანს ისეთი გარემოება, რაც სატენდერო კომისიას მისცემდა საფუძველს, ემსჯელა პრეტენდენტების მხრიდან აფიდავიტის სავარაუდო დარღვევაზე.

აუდიტის ანგარიშში იმ ფაქტზე მითითება, რომ სს „არქეოპოლისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დემურ გადელიას ძმისშვილი არის შპს „ინდიკოს“ 100% წლის მესაკუთრე იოსებ გადელია, რის საფუძველზეც უნდა მომხდარიყო პრეტენდენტების დისკვალიფიკაცია, ხელშეკრულების დადების მიზნით ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო, საჩივრის ავტორის მოსაზრებით, არ იქნებოდა სატენდერო კომისიის მხრიდან შესაბამის გარემოებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება.

**2.** საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ 10 მრავალბინიანი სახლის გადახურვის სამუშაოების (ელექტრონული ტენდერი SPA170005507) სავარაუდო ღირებულებად განისაზღვრა 241810.00 ლარი და გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170005507) შპს „საფუძველი 2014“-მა დააფიქსირა ფასი 122999.00 ლარი. შპს „საფუძველი 2014“-ს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიისთვის უნდა წარედგინა 122999.00 ლარის შესაბამისი დაზუსტებული ფასების ცხრილი, რომელიც წარმოდგენილი იქნა უზუსტობებით (არ იყო გათვალისწინებული დღ-ის თანხა), რის გამოც, შპს „საფუძველი 2014“-ს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიეცა

დისკვალიფიკაცია. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შპს „საფუძველი 2014“-ს არ გაუსაჩივრებია დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილება. შესაბამისად, არ არსებობს დავების საბჭოს ან/და სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლითაც დადგინდებოდა დისკვალიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების არაკანონიერება.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპს „საფუძველი 2014“-ს დისკვალიფიკაციის შემდეგ, შპს „გია და კომპანია“ უნდა წარმოედგინა 123000.00 ლარის შესაბამისი დაზუსტებული ფასების ცხრილი, რაც არ წარმოუდგენია და დაექვემდებარა დისკვალიფიკაციას.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ შპს „გია და კომპანია“ დისკვალიფიკაციის შემდეგ, შპს „სტილეს“ უნდა წარმოედგინა 128000.00 ლარის შესაბამისი დაზუსტებული ფასების ცხრილი, რაც ასევე არ წარმოუდგენია და მიეცა დისკვალიფიკაცია.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ 10 მრავალბინიანი სახლის გადახურვის სამუშაოებზე გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA170005507) შპს „ბიგვი 789“-მ გაიმარჯვა 159900.00 ლარით, თუმცა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და სახელშეკრულებო პირობების დარღვევის გამო, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შეწყვეტილ იქნა 2017 წლის 11 აგვისტოს N98 ხელშეკრულება.

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შპს „ბიგვი 789“ სასამართლოს იმ საქმის მასალებში, რომელზეც განიხილებოდა მისი შავ სიაში შეყვანა, 159900.00 ლარად სამუშაოების შესრულების შეუძლებლობის საფუძველად მიუთითა ელექტრონული ტენდერის გამოცხადების შემდეგ (10.04.2017) სამშენებლო მასალების მნიშვნელოვანი გაძვირება.

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას პრეტენდენტების მიმართ არ ჰქონია დისკრიმინაციული მიდგომა.

შპს „ბიგვი 789“-თან ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიამ მრავალბინიანი სახლის გადახურვის სამუშაოებზე გამოაცხადა ახალი ელექტრონული ტენდერი (NAT170012517), სადაც 155562.00 ლარით გამარჯვებულად გამოვლინდა შპს „ქებული 2016“ და გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება (30.11.2017; N165).

საჩივრის ავტორი მიუთითებს, რომ შესყიდვის პროცედურები განხორციელდა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანებით დამტკიცებული „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-8 პუნქტის მიხედვით. კერძოდ, სატენდერო წინადადების წარდგენისთანავე, პრეტენდენტს სისტემის მემშვეობით ეძლევა საშუალება, მონაწილეობა მიიღოს ელექტრონულ ვაჭრობაში. ძირითადი დროის განმავლობაში პრეტენდენტი უფლებამოსილია, რამდენჯერმე შეამციროს წინადადების ფასი, წინა შეთავაზებულ ფასთან შედარებით არანაკლებ ერთი ბიჯის ოდენობით, გარდა ამ წესის 39-ე და მე-40 მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისებისა, ხოლო 27-ე მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, ელექტრონული ტენდერისთვის ტენდერის სტატუსის „წინადადებების მიღება დასრულებულია“ მინიჭებიდან არა უგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში, სატენდერო კომისიამ უნდა იმსჯელოს, შეესაბამება თუ არა ყველაზე დაბალი წინადადების ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია სატენდერო პირობებს. აღნიშნულის საფუძველზე, საჩივრის ავტორი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ არის არაეკონომიური ხარჯი.

**მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია:** ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის წერილობითი მოსაზრებებით (N001333/18; 13.02.2019) სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს.

II  
სამოტივაციო ნაწილი:

საჩივრის გაცნობის, მხარეთა მოსაზრებების მოსმენის, საქმეში არსებული მასალებისა და საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, პრეზიდიუმი მივიდა დასკვნამდე, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში 2019 წლის 04 თებერვალს სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილი N37/520 საჩივარი (სახელმწიფო აუდიტის სამსახურში რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N992/29; 04.02.2019) არ დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ასფალტის დაგების სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით (აუდიტის ანგარიში, აფიდავიტის მოთხოვნების დარღვევა, გვ.16-17) პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ შპს „ინდიკოსთვის“ 412.8 ლარით მეტი თანხის გადახდის შესახებ საჩივრის ავტორის მიერ დასმული საკითხი, აუდიტის ანგარიშის შესაბამისად, აფიდავიტის შესაძლო დარღვევის კუთხით არის განხილული.

ამასთანავე, აუდიტის ანგარიშში მითითებულია გარემოებები პრეტენდენტი კომპანიების დამფუძნებელთა ნათესაური კავშირისა და დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის კვალიფიციური მიმწოდებლის სტატუსის შესახებ, რასთან დაკავშირებითაც სატენდერო კომისიას არ გამოუკვლევია აფიდავიტის პირობებთან შესაბამისობის საკითხი. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, აფიდავიტის პირობების დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით არაკეთილსინდისიერი ქმედების ჩადენის გამო.

ამდენად, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

2. სამტრედიის მუნიციპალიტეტში 10 მრავალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსის გადახურვის სამუშაოებზე გამოცხადებულ ტენდერთან დაკავშირებით („ადგილობრივი ბიუჯეტიდან გაწეული არაეკონომიური ხარჯი“, აუდიტის ანგარიში, გვ. 17- 21) პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალების შესაბამისად, ყველაზე დაბალი ფასი შეთავაზებულ იქნა შპს „საფუძველი 2014“-ის მიერ, რომლის პირველად დოკუმენტებში მითითებული ფასები, სატენდერო პირობების მიუხედავად, არ მოიცავდა დღგ-ს. სატენდერო კომისიამ პრეტენდენტს მოსთხოვა სატენდერო დოკუმენტაციის დაზუსტება, თუმცა კონკრეტული პოზიცია/ნაწილი არ დაუზუსტებია. შპს „საფუძველი 2014“-ის მიერ დაზუსტებული ხარჯთაღრიცხვა კვლავ დღგ-ის გარეშე იქნა წარმოდგენილი, რაც პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის საფუძველი გახდა.

პრეზიდიუმი მიუთითებს, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის თანახმად, სატენდერო კომისია ვალდებულია ზუსტად მიუთითოს პრეტენდენტს დასაზუსტებელი პოზიციის/ნაწილის შესახებ, რაც მოცემულ შემთხვევაში სატენდერო კომისიას არ განუხორციელებია. პრეზიდიუმი განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები მიზნად ისახავს სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფას.

ამდენად, პრეზიდიუმი მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი არ არსებობს.

III

სარეზოლუციო ნაწილი:

იხელმძღვანელა რა „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტით და 29-ე მუხლის პირველი პუნქტით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 201-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის 2013 წლის 1 თებერვლის N14/37 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის“ მე-9 მუხლის პირველი პუნქტით,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეზიდიუმმა  
გადაწყვიტა:

უარი ეთქვას სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიას 2019 წლის 4 თებერვლის N37/520 საჩივრის (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: N992/29; 04.02.2019) დაკმაყოფილებაზე და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის დეპარტამენტის 2019 წლის 14 იანვარს დამტკიცებული სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტის N11/36 ანგარიში დარჩეს უცვლელად.

ერეკლე მექვაბიშვილი  
გენერალური აუდიტორი

დავით გოგიჩაიშვილი  
გენერალური აუდიტორის მოადგილე

ვაჟა ბრაგვაძე  
ადმინისტრაციის უფროსი

სახელმწიფო აუდიტის სამსახური / თავდაცვის,  
საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
სოფიო დვალიშვილი

თორნიკე შერმადინი  
ეკონომიკური საქმიანობის სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

გიორგი კეკელიშვილი  
საერთო დანიშნულების სახელმწიფო  
მომსახურების სფეროს  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი


სახელმწიფო აუდიტის სამსახური / შიდა აუდიტის  
დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
ზაზა გელაშვილი



გიორგი გაჩეჩილაძე  
ინფორმაციული ტექნოლოგიების აუდიტისა და  
ადმინისტრირების დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / სახელმწიფო  
ბიუჯეტისა და სტრატეგიული ანალიზის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსი  
ცოტნე ქარქაშაძე



ალექსანდრე გოგოლაშვილი  
აუდიტის ხარისხის უზრუნველყოფის  
დეპარტამენტის უფროსი



სახელმწიფო აუდიტის სამსახური / ეფექტიანობის  
აუდიტის დეპარტამენტი  
დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი  
გიორგი კაპანაძე



ნოე ქაშიბაძე  
აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის  
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი



ზაზა შეყილაძე  
სოციალური სფეროს აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი



ნატო ზაალიშვილი  
იურიდიული დეპარტამენტის უფროსი

